gnta.ge | georgia.travel

Georgia

საერთაშორისო ვიზიტორთა მახასიათებლები

2025

I კვარტალი

2025 წლის I კვარტლის განმავლობაში საქართველოს ტერიტორიაზე საერთაშორისო არარეზიდენტი მოგზაურების 1.3 მილიონი ვიზიტი განხორციელდა, რაც 1.1%-ით მეტია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე. აღნიშნული რაოდენობიდან საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტების რაოდენობამ 1.2 მილიონამდე შეადგინა, რაც 1.3%-ით მეტია 2024 წლის I კვარტლის მაჩვენებელზე.

საერთაშორისო ვიზიტორების ვიზიტების რაოდენობა



საერთაშორისო ვიზიტორთა უდიდეს ნაწილს 31-50 წლის ვიზიტორები შეადგენდნენ (წილი ვიზიტებში 48.8%), ასევე მნიშვნელოვანი წილი უჭირავს 15-30 ასაკობრივ ჯგუფს (27.2%). მას მოსდევს 51-70 წლის (22.2%) და 71+ წლის (1.8%) ასაკობრივი ჯგუფები. საერთაშორისო ვიზიტორთა 63.5%-ს კაცები, ხოლო 36.5%-ს ქალები შეადგენდნენ.

ვიზიტები სქესისა და ასაკის მიხედვით





წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საერთაშორისო ვიზიტორთა ვიზიტების განაწილება ეკომონიკური სტატუსის მიხედვით შემდეგნაირია: ვიზიტორთა 59% დასაქმებულია; 15.7% - თვითდასაქმებული; 8.7%-ის სტატუსი განისაზღვრა როგორც დამსაქმებელი; 5.4% - სტუდენტია; 4.1% - დიასახლისი; 3.6% - უმუშევარი, 3.2% - პენსიეონერი; გამოკითხულთა 0.1% სხვა კატეგორიას მიეკუთვნება, ხოლო 0.1%-მა არ ისურვა პასუხის გაცემა.

ვიზიტები ეკნომიკური სტატუსის მიხედვით



ვიზიტორთა ვიზიტების 85.1% განმეორებითი ვიზიტი, ხოლო 14.9% პირველადი ვიზიტი იყო. საერთაშორისო ვიზიტორების ვიზიტების უმრავლესობა (42.2%) დასვენება, გართობა, რეკრეაციის მიზნით განხორციელდა. ვიზიტების 28.7% განხორციელდა მეგობრების, ნათესავების მონახულების მიზნით, ხოლო 13.9% ტრანზიტის მიზნით. ხშირად დაფიქსირებულ მიზნებს შორის არის პროფესიული, ეკონომიკური საქმიანობა (6.9%) და შოპინგი (6.3%).

ვიზიტის მთავარი მიზანი

წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

პირველი კვარტლის მონაცემებით, საერთაშორისო ვიზიტორების მიერ ყველაზე ხშირად მონახულებული რეგიონებია: თბილისი (მოინახულა ვიზიტორთა 59.2%-მა); აჭარა (26.8%); მცხეთა-მთიანეთი (22.8%); ქვემო ქართლი (11.2%); სამცხე-ჯავახეთი (10.1%) და იმერეთი (9.2%). ასევე, ვიზიტორთა 3.2% ეწვია კახეთს. დანარჩენ რეგიონებში შედარებით მცირე ვიზიტები განხორციელდა.

ვიზიტორთა მიერ მონახულებული რეგიონები



საერთაშორისო ვიზიტორების მიერ მონახულებულ ადგილებშიც შესაბამისად ლიდერობს თბილისი (59.2%). ასევე, დასვენება, გართობის მიზნით განხორციელებულ ვიზიტებში პირველ ადგილზეა თბილისი (56.8%), მას მოსდევს ბათუმი (43.2%), გუდაური (26.2%), ბაკურიანი (8.2%) და სხვა.

Top 10 დანიშნულების ადგილი



წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

2025 წლის I კვარტალში საერთაშორისო ვიზიტორთა მთლიანი ღამეების რაოდენობამ 6 მილიონს გადააჭარბა, ვიზიტების საშუალო ხანგრძლივობამ კი 5.5 ღამე შეადგინა.

პირველ კვარტალში სასტუმროების წილი განთავსების საშუალებებში 15.9%-ით გაიზარდა გასული წლის პირველ კვარტალთან შედარებით. განთავსების საშუალებებში გათეული ღამეების მიხედვით, ვიზიტორების უმრავლესობა, 37.2%, სასტუმროში დარჩა. 24.9% ნაქირავებ ოთახში, სახლში, ხოლო 23.8% უპირატესობას მეგობრის, ნათესავის სახლს ანიჭებს. ვიზიტორთა ნაწილი ასევევ რჩებოდა საკუთარ სახლში (11.2%) და სასტუმრო სახლში, ჰოსტელში (2.7%).

ვიზიტორთა განთავსების საშუალებებში გათეული ღამეების განაწილება



საერთაშორისო ვიზიტორთა მთლიანმა დანახარჯებმა 2.3 მილიარდ ლარს გადააჭარბა, ხოლო საშუალო დანახარჯმა ვიზიტზე 1,998 ლარი შეადგინა. დანახარჯებში ყველაზე დიდი წილი შოპინგზე (25.8%), საკვებსა და სასმელზე (24.5%) და განთავსების საშუალებებზე (24.2%) მოდის. საერთაშორისო ვიზიტორებმა დანახარჯების 15.7% რეკრეაციაზე, კულტურულ და სპორტულ აქტივობებზე გასწიეს, 8.7% მოდის ადგილობრივ ტრანსპორტზე, ხოლო 1.2% სხვა დანახარჯებზე.

დანახარჯების სტრუქტურა



წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საქართველოში ჩამოსულ ვიზიტორთა შორის დიდი პოპულარობით სარგებლობს ქართული სამზარეულო, საერთაშორისო ვიზიტორთა 85.9%-მა დააგემოვნა ქართული კერძები და ღვინო. სხვა პოპულარულ აქტივობებს შორის იყო: შოპინგი (62.9%), ღირსშესანიშნაობების, კულტურული და ისტორიული მემკვიდრეობის ძეგლების, მუზეუმების მონახულება (40.2%), მეგობრების / ნათესავების მონახულება (35.8%), რელიგიური ადგილების, ეკლესიების მონახულება (25.3%) და სხვა.

ვიზიტორების მიერ განხორციელებული Top აქტივობები



2025 წლის I კვარტალში საერთაშორისო ვიზიტორების მიერ გამოყენებულ საინფორმაციო წყაროებს შორის ყველაზე ხშირად დასახელებული წყაროა გამოცდილება წინა ვიზიტიდან (დაასახელა ვიზიტორთა 68.8%-მა), ასევე ვიზიტორები ინფორმაციას იღებდნენ მეგობრებისა და ნათესავებისაგან (49.4%), ინტერნეტიდან (16%), ტელევიზიიდან და რადიოდან (8%), ორგანიზაციებისაგან და ბიზნეს პარტნიორებისაგან (5.2%) და სხვა წყაროებიდან (8.5%).

წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საერთაშორისო ვიზიტორთა ვიზიტების კმაყოფილების დონე შემდეგნაირად ნაწილდება: ვიზიტორთა 50.3% ძალიან კმაყოფილი დარჩა; 44% იყო კმაყოფილი; 5.2% - არც უკმაყოფილო, არც კმაყოფილი; 0.1% იყო უკმაყოფილო; 0.1% კი ძალიან უკმაყოფილო. ვიზიტორების 0.2%-ს კი უჭირს ამ კითხვაზე პასუხის გაცემა. შესაბამისად, 5 ბალიანი სისტემიდან საშუალო კმაყოფილების დონე არის 4.46.

ტურისტული ვიზიტით კმაყოფილება



წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

მეთოდოლოგია

სტატისტიკური ინფორმაციის მოპოვების მიზნით სტატისტიკის ეროვნული სამსახური ატარებს საერთაშორისო ვიზიტორების გამოკითხვას. მონაცემების შეგროვება ხორციელდება პირისპირი ინტერვიუების ტექნიკის გამოყენებით. მეთოდოლოგია დაფუძნებულია მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებზე. ინტერვიუები ტარდება 15 წლის და უფროსი ასაკის საერთაშორისო ვიზიტორებთან, რომლებიც ტოვებენ საქართველოს ტერიტორიას. ინტერვიუები ტარდება სასაზღვრო გამშვებ პუნქტებში.

მოგზაური

არის ნებისმიერი ასაკის არარეზიდენტი პირი, რომელიც **გადაადგილდება სხვადასხვა გეოგრაფიულ არეალს შორის ნებისმიერი ხანგრძლივობითა და მიზნით.**

მათ შორის, **მოგზაური** გულისხმობს საქართველოს იმ მოქალაქეებს, რომლებიც **არიან უცხო ქვეყნის რეზიდენტები** და გამორიცხავს უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, რომელთა რეზიდენტობის ქვეყანა საქართველოა.

ვიზიტორი

არის 15 წლის ან უფროსი ასაკის საქართველოს **არარეზიდენტი მოგზაური,** რომელმაც განახორციელა **ვიზიტი საქართველოს ტერიტორიაზე 1 წელზე ნაკლები დროით და თვეში მისი დასრულებული ვიზიტების რაოდენობა არ აღემატება 8 ვიზიტს.**

იმ შემთხვევაში, თუ მოგზაურმა განახორციელა ვიზიტი **1 წელზე მეტი დროით ან თვეში 8-ჯერ ან მეტჯერ,** მისი ვიზიტის ადგილი განისაზღვრება, როგორც ჩვეული გარემო და გამორიცხავს ვიზიტორის კლასიფიკაციას.

ტურისტი

არის ვიზიტორი, რომელმაც **ღამე გაათენა** საქართველოს ტერიტორიაზე.

ერთდღიანი ვიზიტორი

(ექსკურსანტი)

არის ვიზიტორი, რომელიც **ღამეს არ ათენებს** საქართველოს ტერიტორიაზე.

სხვა კატეგორია

მოიცავს 14 წლის ან უმცროსი ასაკის **მოგზაურების** ჩვეულ გარემოში განხორციელებულ ვიზიტებს.

8 ან 8-ზე მეტი ვიზიტი თვეში

საერთაშორისო მოგზაურების ვიზიტების რაოდენობა გამოითვლება მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიის მიხედვით და მოიცავს დასრულებულ ვიზიტებს.